დამტკიცებულია
ა(ა)იპ ,,ჩემი ევროპული სკოლის''
დირექტორის მიერ

ა(ა)იპ ,,ჩემი ევროპული სკოლის''
შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
2023-2030 წლები

2023 წელი

ა(ა)იპ ,,ჩემი ევროპული სკოლის'' შვიდწლიანი (2023-2030 წ.წ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და საჭირო ინფორმაციის შეგროვებას.

7 (შვიდ) წლიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია 2023-2030 წლების სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია, რომლის სწორად განხორციელებაც ხელს შეუწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

<u>სკოლის შესახებ ინფორმაცია</u>

ა(ა)იპ ,,ჩემი ევროპული სკოლა'' არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ზოგადსაგანმანთლებლო საქმიანობას ახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე და მიზნად ისახავს, ხელმისაწვდომი გახადოს განათლების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესი ადგლობრივი ბავშვებისთვის, მისცეს მათ საშუალება მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება. აღმოაჩინოს და გამოიყენოს ის რესურსები, რაც მუნიციპალიტეტს აქვს და მოახმაროს მოსწავლეთა განვითარებას; ამასთან, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები.

დღეისათვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს და სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნის გამო დაარსდა იგი. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, გარდა ქალაქი ლაგოდეხისა, აერთიანებს 67 სოფელს, რომელიც დასახლებულია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსახლეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მიზანია, ჩამოყალიბდეს ადგილობრივ სოციო-კულტურულ სივრცედ, გამოიყენოს მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მრავალლფეროვნება და ხელი შეუწყოს მოზარდებს შორის კავშირების ჩამოყალიბებას და ურთიერთობების გამყარებას. სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად ორგანიზებულად ახორციელებს სასწავლო პროცესს სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფილ, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოში.

სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძოდ შპს ,,ევროპის უნივერსიტეტთან'', ა(ა)იპ "საგანმანათლებლო განვითარების ცენტრი ნათელი მომავალთან''. ამასთანავე სკოლა გეგმავს გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დამატებით ადამიანური რესურსის მოზიდვას, თანამშრომლობის გაფართოებას, პარტნიორობის განმტკიცებას.

<u>სკოლის მისია</u> - **ა(ა)იპ ,,ჩემი ევროპული სკოლის'' მისიაა** სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებადი ეროვნულ და ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული პიროვნების ჩამოყალიბება.

<u>სკოლის ხედვა</u> - 2033 წლისთვის ჩემი ევროპული სკოლა იქნება რეგიონში აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება რომელიც საზოგადოებას შესთავაზებს საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამას STEM საგნებში.

<u>სკოლის ღირებულებები</u>

სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- **ორიენტირება ხარისხიან განათლებაზე;**
- **ღიაობა;**
- **სამართლიანობა;**
- **თანამშრომლობა;**
- **გუდურობა;**

<u>სკოლის მიზანია:</u>

- მოსწავლეთათვის შესაბამისი უნარების განვითარება, რათა დამოუკიდებლად მოახერხონ საჭირო ინფორმაციის მოძიება, აღქმა, ანალიზი, დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება;
- ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და პედაგოგიური პრაქტიკის შემდგომ დახვეწასა და გამდიდრებას.
- მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება;
- უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვანი გარემოს შექმნა და მუდმივი სრულყოფა;
- სასკოლო საზოგადოების გააქტიურება.

SWOT - ანალიზი

S (ძლიერი მხარე)	W (სუსტი მხარე)
➢ წამახალისებელი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო; ➢ თანაშრომლობითი გარემო; ➢ პოზიტიური სასკოლო კულტურა; ➢ მოტივირებული პერსონალი; ➢ სკოლის პერსონალის მობილიზების სწრაფად ორგანიზების უნარი; ➢ გამწვანებული ეზო; ➢ დიდი სპორტული მოედანი; ➢ სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვა; ➢ ცხოველებისა და ფრინველების სადგომი; ➢ გრინჰაუსი; ➢ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა; ➢ მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობების მაღალი მაჩვენებელი; ➢ სკოლის შენობის ლოკაცია და ფართი, რომლის ათვისებით შესაძლებელია მრავალი პროექტის განხორციელება; ➢ სკოლის სერვისებზე მზარდი მოთხოვნა რეგიონში; ➢ საზაფხულო სკოლების და სხვა სახის საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება	➢ საზაფხულო გაცვლითი პროგრამების არარსებობა; ➢ მოწვეული (თბილისიდან და სხვა რეგიონიდან) მასწავლებლებისათვის საცხოვრებელის შეთავაზება;

O (შესაძლებლობები)	T (საფრთხე)
➢ მოსახლეობის ზრდა; ➢ მასწავლებელთა გადამზადება სხვადასხვა ვებინარებში/პროექტებში ჩართვა; ➢ თანამშომლობა უნივერსიტეტებთან;	➢ რეგიონი კვალიფიციური პერსონალის შეზღუდული რაოდენობა; ➢ საგანმანათლებლო სისტემაში რეგულაციების ხშირი ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები; ➢ ფორსმაჟორული სიტუაცია (გარემოება, რომელიც ცვლის სწავლების ტრადიციულ ფორმას); ➢ კიბერუსაფრთხოების საშიშროება.

ა(ა)იპ ,,ჩემი ევროპული სკოლის" სტრატეგიული მიმართულებები:

სკოლის მისიის და ხედვის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის შედეგად, ასევე, განვითარების შესაძლებლობების და საფრთხეების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა ხუთი სტრატეგიული განვითარების მიზანი:

სტრატეგიული მიზანი I - განათლების ხარისხის განვითარება/გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი II - სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარება/გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი III - სკოლის ინსტიტუციური განვითარება;

სტრატეგიული მიზანი IV - მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების მუდმივი გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი V - უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა;

თითოეული სტრატეგიული მიზანი აერთიანებს მის მისაღწევად ჩამოყალიბებულ ამოცანებს, მიღწევების გასაზომად მონაცემთა შეგროვების წყაროებს და შესრულების ინდიკატორებს.
სტრატეგიული განვითარების მიზნების მისაღწევად შესაბამისი ამოცანებისათვის ვადები განსაზღვრულია სტრატეგიის დანერგვის კალენდარულ გეგმაში, ხოლო თითოეულისათვის შესაბამისი რესურსები, შესრულების ინდიკატორები სამოქმედო გეგმაში, რომელიც ყოველწლიიურად მუშავდება და მტკიცდება, დასახული მიზნების მისაღწევად.

სტრატეგიული მიზანი I - განათლების ხარისხის განვითარება/გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
განათლების ხარისხის განვითარება/გაუმჯობესება;	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა/განახლება ფორმალურ/არაფორმალურ განათლებაში;							
	სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა							
	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება							
	მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა							
	საერთაშორისო ოლიმპიადებში, კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობა							
	მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში							

სტრატეგიული მიზანი II - სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარება/გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარება/გაუმჯობესება;	პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის დანერგვა							
	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა/შენარჩუნება /განვითარება							
	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/განახლება;							
	საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება							
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება							
	ფინანსური მდგრადობა							

სტრატეგიული მიზანი III - სკოლის ინსტიტუციური განვითარება;

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
სკოლის ინსტიტუციური განვითარება	შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შექმნა/ცვლილებების შეტანა							
	დემოკრატიული მმართველობის პროცესების დანერგვა/განხორციელება							
	მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა							
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;							
	მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.							
	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, მათ შორის საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;							

	სკოლის ცნობადობის გაზრდა							

სტრატეგიული მიზანი IV - მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების მუდმივი გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების მუდმივი გაუმჯობესება	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა							
	მოსწავლეებისათვის დამატებითი სერვისების შეთვაზება							
	მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება							

სტრატეგიული მიზანი V - უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება							